ოქმი N10

ხობის მუნიციპალიტეტის მესამე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი 2016 წლის 16 ივნისი

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 13

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 13

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. ედიშერ ჯობავა
2. მამუკა ქარდავა
3. გოჩა სიჭინავა
4. ლაშა ცატავა
5. დოდო გაბუნია
6. ნუგზარ შუშანია
7. ლევან ქავთარაძე
8. ვასილ კუკავა
9. მალხაზ ლაგვილავა

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა ედიშერ ჯობავა – საკრებულოს თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დ. ჯობავას 01.06.2016 წლის №31/2016 წერილის განხილვა (ყულევის თემის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გამართული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგების თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

2. №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დ. ჯობავას 09.06.2016 წლის №35/16 წერილის განხილვა (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 09/06/2016 წლის №01-02/1176 წერილი საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების დანიშვნის თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 10.06.2016 წლის N04/1385 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - მაისის თვის შესრულების ანგარიშის შესახებ);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 14.06.2016 წლის №05/1404 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხთა განხილვა

1. №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დ. ჯობავას 01.06.2016 წლის №31/2016 წერილის განხილვა (ყულევის თემის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გამართული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგების თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი ყულევის თემის №66.17 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში 2016 წლის 22 მაისს გამართული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგების თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საკრებულოს მაჟორიტარ წევრს ყულევის თემის N66.17 ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქიდან შოთა სირაძეს ვადამდე შეუწყდა საკრებულოს წევრის უფლებამოსილება, მისი ფოთის საქალაქო სასამართლოს მოსამართლედ დანიშვნის გამო, რის საფუძველზეც 2016 წლის 22 მაისს ყულევის თემის N66.17

ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნები, რომლის შედეგების თანახმად საკრებულოს წევრად ყულევის მაჟორიტარულ ოლქში არჩეულ იქნა კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანდიდატი კობა კაკულია. N66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიიდან მიღებული შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე მომზადდა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს შუალედური არჩევნების შედეგად ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის კობა კაკულიას უფლებამოსილების ცნობის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, კომისიის მიერ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დ. ჯობავას 09.06.2016 წლის №35/16 წერილის განხილვა (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 09/06/2016 წლის №01-02/1176 წერილი საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების დანიშვნის თაობაზე);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ნ. შუშანია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო №66 ხობის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის წერილი საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნების დანიშვნის თაობაზე (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული.

3. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის გ. ქაჯაიას 10.06.2016 წლის N04/1385 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - მაისის თვის შესრულების ანგარიშის შესახებ);

(მომხსენებელი: ნ. შუშანია - საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ტ. ალექსანდრია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო ანგარიში ხობის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის იანვარ - მაისის თვის შესრულების შესახებ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის)

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

დაადგინეს: წარმოდგენილი ინფორმაცია ცნობად იქნეს მიღებული

4. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ვ. გაბედავას 14.06.2016 წლის №05/1404 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ცატავა - საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე);

მოისმინეს: ლ. ცატავა - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 8 ოქტომბრის მორიგ არჩევნებთან დაკავშირებით გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 2016 წლის 3 ივნისის N03/06/02 განკარგულებით დაინიშნა საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს. წარმოდგენილი პროექტი მიზნად ისახავს №66 ხობის საარჩევნო ოლქში წინასაარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პერიოდში შენობა-ნაგებობების გარე იერსახის დამახინჯებისა და საარჩევნო ატრიბუტიკის შეუფერებელ ადგილებში განთავსების აღკვეთას, ამასთან წარმოდგენილი პროექტით განისაზღვრება საარჩევნო სუბიექტებისთვის ამომრჩევლებთან შეხვედრების, კრებების, საჯარო დებატებისა და დისკუსიების გასამართად ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები, ასევე ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება წინასაარჩევნო აგიტაციისთვის განთავსდეს არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო

პლაკატები და განცხადებები. გამომსვლელეის განცხადებით, გამგეობის მიერ პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით, თუმცა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გარე განათების ბოძებზე და მგზავრთა მოსაცდელებზეც დაიშვას ნებართვა საარჩევნო სუბიექტებისთვის სარეკლამო პლაკატების განთავსებაზე, რაზედაც კომისიამ წარმოადგინა განკარგულების მე-3 პუნქტის ცვლილება შემდეგი რედაქციით: „3. მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებულ საარჩევნო უბნებში საარჩევნო სუბიექტების სარეკლამო პლაკატების განსათავსებლად გამოყენებულ იქნეს იქ მდებარე გარე განათების ბოძები, მგზავრთა მოსაცდელები და ნებისმიერი შენობა-ნაგებობა, გარდა კანონმდებლობით აკრძალულისა.“

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს გამოეთქვათ შენიშვნები ან მოსაზრებები წარმოდგენილ საკითხთან და კომისიის მიერ მომზადებულ ცვლილებასთან დაკავშირებით, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას ცვლილების გათვალისწინებით წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9, წინააღმდეგი – არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ედიშერ ჯობავა